

იდები და სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგია: ჩილე და ურუგვაი

თინათინ გალდავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ გალდავა

22.06.2018

აბსტრაქტი

იდევნი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. ისინი ინფორმაციის წყაროა პოლიტიკის კეთების პროცესების შესახებ. არ არსებობს იდეების უნივერსალური დეფინიცია, თუმცა შეიძლება მათ მიიღონ საჯარო დისკურსის ან ისეთი იდეოლოგიების ფორმა, რომელიც მნიშვნელოვანია და ცენტრალურ ადგილს იკავებს საერთაშორისო პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში.

ნაშრომის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს უშუალოდ ჩილეში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლებამიღებული ჩილელი ახალგაზრდა ეკონომისტების, „ჩიკაგოს ბიჭების“ იდეების გავლენის შესწავლა. კვლევის მთავარი ამოცანაა პასუხი გასცეს კითხვას თუ რა *ფაქტორები განაპირობებს ეკონომიკის წარმატებულ განვითარებას სამხედრო დიქტატურის პირობებში*. წარმოდგენილ კვლევაში ვამტკიცებ, რომ ლიბერალური იდეები და მათი პრაქტიკული განხორციელების გრძელვადიანი მხარდაჭერა დიქტატორულ რეჟიმში, ხელს უწყობს ეკონომიკის წარმატებულ და სწრაფ განვითარებას. ურუგვაის ქეისი გამოყენებულია, როგორც საკონტროლო შემთხვევა შედარების მიზნით.

ისტორიული და ლიტერატურული მიმოხილვის, სხვადასხვა არგუმენტის დამოწმების, თეორიული ჩარჩოს, კვლევის თვისობრივი მეთოდოლოგიის, შედარებითი ქეისების შესწავლის საფუძველზე, Process Tracing-ის კონკრეტულ მიმართულება Explaining Outcome PT - ზე და მილისეულ “the most similar method” მეთოდზე დაყრდნობით, ნაშრომი ცდილობს დაამტკიცოს სავარაუდო მეცნიერული ვარაუდის, ჰიპოთეზის მართებულობა და ადგენს კავშირს ძირითად ცვლადებს შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჩილე, ურუგვაი, „ეკონომიკური სასწაული“, პინოჩეტი, „ჩიკაგოს ბიჭები“, დიქტატურა, ეკონომიკური სტრატეგია

Abstract

Ideas have significant impact on politics and economics. Moreover, ideas are the source of information about policy making process. It's difficult to define ideas straightforwardly, but one is clear that these ideas can formate public discourse and even important ideologies which are to be crucial and pivotal in international politics and economics, as well.

Accordingly, the paper mainly focuses on the influence of the U.S educated young Chilean economists, so called "Chicago boys," ideas implemented in Chilean economic processes and tries to answer the following research question which factors bring about successful economic development under the military dictatorship. I argue that liberal ideas, long-term support of their practical implementation under military dictatorship initiate successful economic development. The case of Uruguay is used as a control case for comparison.

Grounded on the historical and literature review, different controversial arguments, theoretical framework, the qualitative methodology, namely comparative case study analysis, along with one approach of process tracing (PT)-Explaining Outcome PT and John Stuart Mill's "the most similar method", is utilized the paper to prove the relevance of the stated hypothesis by demonstrating operating causal mechanisms.

Keywords: Chile, Uruguay, „Economic Miracle“, Pinochet, "Chicago Boys", Dictatorship, Economic development